## გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №35

**2019 წლის 24 დეკემბერი**

ქ. გურჯაანი

### გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

**მუხლი 3**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 იანვრის N6 დადგენილება ( გამოქვეყნების წყარო www.matsne.gov.ge, 28/01/2019, 190020020.35.166.016431)

გურჯაანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვანო ბერიძიშვილი

### თავი I
### გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

**მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი**

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| | | | | | | | |
| I. შემოსავლები | **21,215.6** | **24442,0** | **13383,7** | **11058,3** | **15335.0** | **15335.0** | **00** |
| გადასახადები | **4,679.2** | **12054,1** | 12054,1 | - | **13861.4** | 13861.4 | 00 |
| გრანტები | **15,214,3** | **11218,3** | 160,0 | 11058,3 | **220.0** | 220.0 | 00 |
| სხვა შემოსავლები | **1,304.6** | **1,169.6** | 1,169.6 | - | **1253.6** | 1253.6 | 00 |
| II. ხარჯები | **10,468,9** | **12,784.1** | **12300,5** | **353,3** | **13310.0** | **1331.0** | **00** |
| შრომის ანაზღაურება | **2,051.3** | **2,288.7** | 2288,7 | 0 | **2280.0** | 2280.0 | 00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქონელი და მომსახურება | **1,526,5** | **1,970,5** | 1619,2 | 351.4 | **1851.8** | 1837.8 | 00 |
| პროცენტი | **170.1** | **81.4** | 81.4 | - | **168.0** | 168.0 | 00 |
| სუბსიდიები | **5,544,7** | **6693,1** | 6693,1 | - | **7673.0** | 7473.0 | 00 |
| გრანტები | **12,5** | **12,25,0** | 25,0 | - | **50.0** | 50.0 | 00 |
| სოციალური უზრუნველყოფა | **1012,2** | **1030,6** | 1030,6 | - | **1050.** | 1050.0 | 00 |
| სხვა ხარჯები | **151,7** | **211,1** | 209,2 | 1,9 | **258.2** | 258.2 | 00 |
| **III. საოპერაციო სალდო** | **10,729.8** | **12141,6** | **1436,5** | **10705,0** | **2018.0** | **2218.0** | **00** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **9245,0** | **14263,5** | **2449,5** | **11814,0** | **1793.0** | **1993.0** | **00** |
| ზრდა | **9592,9** | **14863,5** | 3049,5 | 11814,0 | **2468.0** | 2468.0 | 00 |
| კლება | **347.6** | **600.0** | 600.0 | | **675.0** | 475.0 | 00 |
| **V. მთლიანი სალდო** | **1484,3** | **- 2122,0** | **- 1013,0** | **- 1109,0** | **225.0** | **225.0** | **00** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1033,2** | **- 2618,1** | **-1509,1** | **- 1,109,0** | **00** | **00** | **00** |
| ზრდა | **1627,1** | - | - | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | - | | | - | | 00 |
| კლება | **- 593,8** | **2618,1** | **- 1509,1** | 1109,0 | | | 00 |
| ვალუტა და დეპოზიტები | **- 593,8** | **2618,1** | **- 1,509,1** | 1,109,0 | | | 00 |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **- 451.0** | **--496,1** | **-496,1** | - | **225.0** | **225.0** | **00** |
| კლება | **451.0** | -496,1 | **-496,1** | - | **225.0** | 225.0 | 00 |
| საშინაო | **451.0** | -496,1 | **-496,1** | - | **225.0** | 225.0 | 00 |
| სესხები | - | - | | | | | |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | | - | | | | | |
| **VIII. ბალანსი** | **- 00** | **- 00** | **00** | - | **00** | **00** | **- 0.0** |

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| შემოსულობები | 22011,1 | **25042,0** | **13983,7** | **11058,3** | **15810.0** | **15810.0** | **00** |
| შემოსავლები | 21198,2 | 24442,0 | 13383,7 | 11058,3 | 15349,0 | 15349,0 | 00 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 347.9 | 600,0 | 600,0 | 00 | 475,0 | 475,0 | 00 |
| ფინანსური აქტივები | 465,0 | 00 | 00 | 00 | 00 | 00 | 00 |
| **გადასახდელები** | **20512,8** | **27660,1** | **15492,8** | **12167,3** | **15810.0** | **15810.0** | **00** |
| ხარჯები | 10468,9 | 12300,5 | 11947,2 | 353,3 | 13117.0 | 13117.0 | 00 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 9592,9 | 14863,5 | 3049,5 | 11814,0 | 2468,0 | 2468,0 | 00 |
| ვალდებულებების კლება | 451,0 | 496,1 | 496,1 | 00 | 225,0 | 225,0 | 00 |
| **ნაშთის ცვლილება** | **1498,3** | **-2618,1** | **-1509,1** | **-1109,0** | **00** | **00** | **00** |

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 15335,0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლისგეგმა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | |
| **შემოსავლები** | **21198,2** | **24442,0** | **13383,7** | **11058,3** | **15335.0** | **15335.0** | **00** | |
| გადასახადები | 4679,2 | 12054,1 | 12054,1 | 00 | 13861,4 | 13861,1 | 00 | |
| გრანტები | 15214,3 | 11218,3 | 160,0 | 11058,3 | 220,0 | 220,0 | 00 | |
| სხვა შემოსავლები | 1304,6 | 1169,6 | 1169,6 | 00 | 1253.6 | 1253.6 | 00 | |

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 13 861,4 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **გადასახადები** | **4,679.2** | **4,679.2** | - | **12054,1** | **12054,1** | - | **13,861.4** | **13,861.4** | - |
| საშემოსავლო გადასახადი | 1,189.0 | 1,189.0 | | - | - | | - | | |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | - | | | 8,609.1 | 8,609.1 | | 10,761.4 | 10,761.4 | |
| ქონების გადასახადი | 3,490.2 | 3,490.2 | - | 3,100.0 | 3,100.0 | - | 3,100.0 | 3,100.0 | - |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2,018.6 | 2,018.6 | | 2,000.0 | 2,000.0 | | 2,000.0 | 2,000.0 | |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | - | | | - | - | | - | - | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 29.9 | 29.9 | | 20.0 | 20.0 | | 20.0 | 20.0 | |
| სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 774.9 | 774.9 | | 775,0 | 775,0 | | 475.0 | 475.0 | |
| არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 666.8 | 666.8 | | 666,8 | 666,8 | | 200.0 | 200.0 | |

## მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 220.0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018წლის ფაქტი | 2019წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **15,214,3** | **11,218,3** | **220.0** |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 00 | 00 | 00 |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან | 15,214.3 | 11,218.3 | 220.0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5,787.3 | - | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 160.0 | 1,156.8 | 220.0 |
| კაპიტალური ტრანსფერი | 9267,0 | 10061,5 | |
| სპეციალური ტრანსფერი<br>მათ შორის : | 9267,0 | 10061,5 | - |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე | 721.2 | 479.5 | |
| სხვა მიმდინარე ღონისძიებებისთვის | 363,1 | 914,8 | |
| რეგიონში განსახორციელებელი პროექტები | 8182,7 | 6863,0 | |
| მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი | | 1284,3 | |
| სოფლის პროგრამა | | 520,0 | |

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1253.6 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 1,304.6 | 1,169.6 | 1,253.6 |

| | | | |
|---|---|---|---|
| შემოსავლები საკუთრებიდან | 293.0 | 192.4 | 200 |
| პროცენტები | 150.3 | 70.0 | 50.0 |
| დივიდენდები | - | | |
| რენტა | 142.7 | 122.4 | 150.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 247.3 | 252.2 | 310,6 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 189.4 | 202.0 | 230,6 |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | - | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 45.6 | 30.0 | 40,6 |
| მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის | - | | 8,0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.0 | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 2.6 | 2.0 | 2.0 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 129.5 | 130.0 | 130.0 |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | - | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | - | | 0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 11.7 | 40.0 | 50.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | - | | |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 57.9 | 50.2 | 80.0 |
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 472.3 | 625.0 | 643.0 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | - | | |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 292.0 | 100.0 | 100.0 |

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 13117,0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლისგეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები | | საკუთარი შემოსავლები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები |
| **ხარჯები** | **10,468,9** | **12,300,5** | **11947,2** | **353,3** | **13117.0** | **13117.0** | **00** |
| შრომის ანაზღაურება | 2,051.3 | 2,288.7 | 2288,7 | 00 | 2280,0 | 2280,0 | 00 |
| საქონელი და მომსახურება | 1,526,5 | 1,970,5 | 1,619,2 | 351.4 | 1837.8 | 1837.8 | - |
| პროცენტები | 170.1 | 81.4 | 81.4 | - | 168.0 | 168.0 | - |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუბსიდიები | 5,437.8 | 7,258.2 | 7,202.2 | 0 | 7473,0 | 7473,0 | 00 |
| გრანტები | 12,5 | 25,0 | 25,0 | 0 | 50,0 | 50,0 | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1012,2 | 1030,6 | 11030,6 | - | 1,050,0 | 1050,0 | - |
| სხვა ხარჯები | 151,7 | 211,1 | 209,2 | 1,9 | 258,2 | 258,0 | - |

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1993,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 2468,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 475,0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| პროგ. კოდი | არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით | 2018 წლის ფაქტი | 2019წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 161,2 | 222,7 | 110,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 9247,7 | 13123,4 | 2130,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | - | - | 100,0 |
| 04 00 | განათლება | 99.8 | 1393,4 | 25,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 84,1 | 95,0 | 103,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | - | - | - |
| | სულ არაფინანსური აქტივების ზრდა | 9592,9 | 13,252.9 | 2468,0 |

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 347.6 | 600.0 | 475,0 |
| ძირითადი აქტივები | 165.1 | 349,8 | 275,0 |
| არაწარმოებული აქტივები | 182.5 | 250.0 | 200.0 |
| მიწა | 182.5 | 250.0 | 200,0 |

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

*ათას ლარში*

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **3,422.3** | **3,855.1** | **3,392.0** |
| 7.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,801.2 | 3,277.7 | 3,224.0 |
| 7.1.1.1 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,801.2 | 3,255.4 | 3,194.0 |
| 7.1.1.2 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | - | 22.3 | 30.0 |
| 7.1.6 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 621.1 | 577.4 | 168.0 |
| **7.2** | **თავდაცვა** | **136.1** | **147.3** | **121.0** |
| 7.2.2 | სამოქალაქო თავდაცვა | 136.1 | 147.3 | 121.0 |
| **7.4** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **7,039.8** | **10,131.1** | **1,325.0** |
| 7.4 5 | ტრანსპორტი | 7,039.8 | 10,131.1 | 1,325.0 |
| 7.4 5 1 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 7,039.8 | 10,131.1 | 1,325.0 |
| 7.4 5 5 | მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები | - | - | - |
| **7.5** | **გარემოს დაცვა** | **835.6** | **-** | **1,272.6** |
| 7.5 1 | ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება | 835.6 | - | 1,172.6 |
| 7.6 | **საბინაო კომუნალური მეურნეობა** | **3,405.3** | **4,508.7** | **2,470.0** |
| 7.6 1 | ბინათმშენებლობა | - | 697.8 | 50.0 |
| 7.6 2 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 44.7 | 1.1 | - |
| 7.6 3 | წყალმომარაგება | 2,687.6 | 3,278.7 | 1,710.0 |
| 7.6 4 | გარე განათება | 664.8 | 519.1 | 700.0 |
| 7.6 6 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 8.2 | 12.0 | 10.0 |
| 7.7 | **ჯანმრთელობის დაცვა** | **103.2** | **131.9** | **150.0** |
| 7.7 4 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 103.2 | 131.9 | 150.0 |
| 7.8 | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **1,162.2** | **1,235.2** | **1,365.0** |
| 7.8 1 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 563.0 | 622.1 | 690.0 |
| 7.8 2 | მომსახურება კულტურის სფეროში | 497.5 | 513.1 | 575.0 |
| 7.8 4 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 101.7 | 100.0 | 100.0 |
| 7.9 | **განათლება** | **2,077.8** | **3,839.1** | **2,825.0** |
| 7.9 1 | სკოლამდელი აღზრდა | 2,077.8 | 2,441.3 | 2,825.0 |
| 7.9 2 | ზოგადი განათლება | - | 1,397.8 | - |
| 7.9 2 2 | საბაზო ზოგადი განათლება | - | 1,397.8 | - |
| 7 10 | **სოციალური დაცვა** | **894.6** | **1,164.0** | **1,434.0** |
| 7 10 1 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | - | - | 15.0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 10 2 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 2.9 | 1.5 | 2.0 |
| 7 10 4 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 178.5 | 411.0 | 180.0 |
| 7 10 7 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 1.3 | 1.0 | 10.0 |
| 7 10 9 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 711.9 | 750.5 | 1,227.0 |
| | სულ | **19,076.9** | **25,012.4** | **14,354.6** |

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 225,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 2218,0 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 10729.2 | 12141,6.4 | 2218,0 |
| მთლიანი სალდო | 1484,3 | - 2122,0 | 225,0 |

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 00 ათასი ლარით:

*ათას ლარში*

| დასახელება | 2018წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1033,2** | **-2618,1** | **00** |
| ზრდა | 1627,1 | - | 00 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 1627,1 | - | 00 |
| კლება | 593,8 | 2618,1 | 00 |
| ვალუტა და დეპოზიტი | 128,8 | 2618,1 | 00 |

ფინანსური აქტივების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო არნგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2020 წლის განმავლობაში.

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 225,0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2020 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასეხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 225,0ათას ლარს.

# თავი II
# გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

## მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2130,0ათ. ლარით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის გეგმა |
|---|---|---|
| 02 00 | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **2130,0** |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | **1315,0** |
| 02 01 01 | გზების კაპიტალური შეკეთება | 1215,0 |
| 02 01 02 | გზების მოვლა პატრონობა | 10.0 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 100.0 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | **1700,0** |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 440,0 |
| 02 02 02 | ააიპ მუნიციპალური სერვისი | 1,260.0 |
| 02 03 | გარე განათება | **700,0** |
| 02 03 02 | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 80,0 |
| 02 04 | მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია | **50,0** |
| 02 04 01 | მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 50.0 |
| 02 04 03 | საგანგებო სიტუაციების ამბულატორიების მშენებლობა რეაბილიტაცია | 00 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | **25,0** |
| 02 05 02 | სკვერებისა და მინისპორტული მოედნების მოწყობა | 25,0 |
| 02 06 | საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | **150,0** |
| 02 07 | ხევების გაწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები | **20,0** |
| 02 08 | სოფლის პროგრამა | **00** |
| 02 09 | თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების მიწის პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება | **10,0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 | | 1315,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების საუბნო გზების მოხრეშვა, მოასფალტება, ქალაქის ცენტრალური, ასევე შიდა გზების და კორპუსების ეზოების მოასფალტება. დღეის მდგომარეობით მოასვალტებულია ქალაქისა და სოფლების ცენტრალური სა საუბნო ქუჩების 25% , მომავალ წელს იგეგმება სახელმწიფო ბიუჯეტით 16კილომეტრის მოცულობის სხვადასხვა სოფლის გზები, რისი თანადაფინანსება 5% და საინჟინრო ზედამხედველობის 4% თანხის გადახდა მოხდება ადგილობრივი ბიოჯეტიდან, | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა და<br><br>სოფლის მოსახლეობისთვის საუბნო გზები, | | | |
| | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემის განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 | | 1700,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის 8 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.<br>პროგრამა ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე,<br>პროგრამის მიზანია:<br>-მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 8 საათიანი მიწოდება;<br>-მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>-წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითრების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:<br><br>1. წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა.<br><br>2. ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისი, რომლის მიზანია სოფლად დაზიანებული წყლის ქსელების დროული შეკეთება - ექსპლუატაცია, წყლის მიწოდების რეგულაცია უბნების მიხედვით, რათა ყველა მოსახლემ მიიღოს არსებული გრაფიკით წყალი.<br><br>ექსპლოტაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები, ასევე ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წლის სისტემის რეაბილიატაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობისთვის წყალს მიეწოდება ხდება გრაფიკით.<br>წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად. | | |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 02 02 | | 1270,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური სერვისი | | |
| ქვეპროგრამის | პროგრამა ითვალისწინებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მომსახურებას, დაზიანებების აღმოფხვრას, მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფას, საჭიროების შემთხვევაში წყლის ტუმბოებისა და ტუმბოს ძრავების შეძენა.პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები : - მწყობრიდან გამოსული მილების შეკეთება და ახლით ჩანაცვლება. საჭიროების მიხედვით წყლის ტუმბოების და ტუმბოს ძრავების შეძენა და მონტაჟი. პროგრამის მიზანია:<br>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობდეს სასმელი წყლის 8 საათიანი მიწოდება; | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებლი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს;<br>- წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 1 ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლის სისტემების ექსპლოტაცია და განვითარება. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია და საკუთარი შემოსულობები.<br>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის მომსახურების (წლის სისტემის ექსპლოტაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი მომსახურების ნაწილში არის მუდმივმოქმედი პროგრამა. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების გრაფიკი;<br>მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებლი წვდომა სასმელ წყალზე;<br>წყლის სისტემების ექსპლოტაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილია დროულად. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათება | 2020 წლის დაფინანსება (ათას ლარში) |
|---|---|---|---|
| | 02 03 | | 700,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოტაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ.გურჯაანში და 23 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 50,% გარე განათების სისტემა მოიცავს 1000-ზე მეტს განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 12000-ზე მეტ სანათ წერტილს, 20000 გრძივ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 550,0 ათსი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურებას. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:<br>- გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია;<br>- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების მოწყობა ელ. ენერგია.<br>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიბებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას).<br>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოტაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.<br>2020 წლის ბიუტიდან ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოტაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოტაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით. | | |
| პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განთება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად იყოს მოცული გარე განათებით. | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 03 01 | | 80,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური სერვისი | | |
| | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ.გურჯაანის მთლიან ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.<br>პროგრამა არ მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას, განათების ბოძების ჩაყრას და დაზიანებული ბოძების შეცვლას.<br><br>პროგრამა მოიცავს აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების შრომის ანაზღაურებას. |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | შენობების მშენებლობა. რეაბილიტაცია, დემონტაჟი | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 04** | | **50,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების რეაბილიტაცია. ჩაუტარდება შენობებს მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეკეთდება და შეძლებისდაგვარად შეიქმნება კომფორტული გარემო აღნიშნულ შენობებში | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **02 05** | | **25,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. აღნიშნული ქვეპროგრამისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინისპორტული მოედნის მოწყობას რომელიც ერთ ერთი პირობა იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ჯანსაღი წესით ცხოვრებისა. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასვენების, გართობისა და სპორტულ აქტივობებში ჩასართავად. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეიქმნება გარემო მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის | | |

| პროგრამის | კოდი | საკანალიზაციო სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა- | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|

| დასახელება | | რეაბილიტაციის სამუშაოები | |
|---|---|---|---|
| | 02 06 | | 150,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია, რათა დაცული იყოს მოსახლეობა უხვი ნალექების პიროზებში ეზოების დატბორვისგან და კომფორტულს გახდის აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადადგილებასა და შესაბამისად სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობას , მოხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა გამტარიანობის გაუმჯობესებისათვის. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეიქმნება უსაფრთხო და კომფორტული გარემო, არ მოხდეს მოსახლეობის ეზოებისა და საცხოვრებელი სახლების დატბორვა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ხევების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 07 | | 20,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამით ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების ნაპირდამცავი ჯებირების რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუშლის უხვნალექიანობის პერიოდში ხევების გადავარდნას სასოფლო სავალგულებში, რომელიც ზიანს აყენებს ერთწლიან და მრავალწლიან ნარგავებს. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სტიქიის პრევენციის აღმოფხვრისათვის ტანხებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეიქმნება სასოფლო-სამეურნო სავარგულებისათვის უსაფრთხო გარემო | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების მიწის პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 09 | | 10,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანზე არსებული ქონების მ.შ მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და პასპორტირების შესყიდვას. ამასთან, აღნიშნული პროგრამიდან ფინანსდება საპრივატიზაციო ქონების შეფასების აუდიტორული მომსახურება. პროგრამის მიზანია არწერილი და შეფასებული იქნას მუნიციპალური ქონება კანონის შესაბამისად. პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | აიზომება, დაიხაზება და შეფასდება მუნიციპალური ქონება | | |

| | |
|---|---|
| | |

**მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავება და გარემოს დაცვა მუნიციპალიტეტის ერტ-ერთი პრიორიტეტია, პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1272,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 03 00 | **დასუფთავება და გარემოს დაცვა** | **1272,0** |
| 03 01 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 950,0 |
| 03 02 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 100,0 |
| 03 03 | სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 80,0 |
| 03 05 | სასაფლაოების დასუფთავება | 100,0 |
| 03 07 | ნაგავსაყრელები | 42,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **დასუფთავება და ნარჩენების გატანას** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 01** | | **950,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური სერვისი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიბების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.შეძენილია ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები.<br>ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება ნაგვის გამზიდი მანქანები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთლიან ტერიტორიაზე. შეგროვებული ნარჩენები გადის ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება ეხება ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ქ. გურჯაანის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **03 02** | | **100** |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია .შეძენილი ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. არ არსებობის გამო არ არის განთავსებული ნაგვის ურნები კაწრეთის ზონაში, ამიტომ 2020წელს მუნიციპალიტეტი აღნიშნული პროგრამით შეიძენს ნაგვის ურნებს კაჭრეთის ზონაში განსათავსებლად. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | განხორციელდება შესყიდვა და განთავსდება აღნიშნულ ზონაში ნაგვის ურნები რაც ხელს შეუწუობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკვერების , მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 03 03 | | 80,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური სერვისი | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების დაცვა, მოვლის ღონისძიებებს.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური სერვისის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს:<br>განყოფილება ახდენს არსებული სკვერების გაწმენდა დასუფთავებას.<br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც.<br><br>პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა.<br>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ გურჯაანის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე დაირგვება ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები; მოხდება მათი მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცელვითი სამუშაოები. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 03 05 | | 100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური სერვისი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 44 სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალური სერვისის შესაბამისი განყოფილება უზრუნველყოფს: | | |

| | |
|---|---|
| | - სასაფლაოების გაწმენდა, გასუფთავება, მოცელვა და შესაწამლი სამუშაოების შესრულებას.<br><br>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხელშეკრულებით აყვანილ პირთა ხელფასებიც. |
| მოსალოდნელი შედეგი | წლის მანძილზე რამდენიმე ეტაპად გაიწმინდება, გასუფთავდება, შეიწამლება და გაიცელება სასაფლაოების ტერიტორიები. |

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2800,0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 04 00 | **განათლება** | **2800,0** |
| 04 01 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2800,0 |
| 04 05 | ბაღების მშენებლობა რეაბილიტაცია | 25,0 |
| 04 05 | წარჩინებულ პირველკურსელ და მოსწავლეთა წახალისება | 10,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | **04 01** | | **2800,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ - გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.<br><br>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2000-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 123 აღმზრდელი და 366 ადმინისტრაციული პერსონალი. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: | | |
| | | | |
| | ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; | | |
| | ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | | |
| | ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; | | |

| | | |
|---|---|---|
| | ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | |
| | ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; | |
| | ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. | |
| | ა(ა)იპ - გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა | |
| მოსალოდნელი შედეგი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - გურჯაანის სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანებაში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2000-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს | |
| | | |

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2311,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

*ათას ლარში*

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | **2301,0** |
| 05 01 | **სპორტის განვითარის ხელშეწყობა** | **690,0** |
| 05 01 01 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 640,0 |
| 05 01 02 | სპორტული ღონისძიებები | 50.0 |
| 05 02 | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **1426,0** |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1246,0 |
| 05 02 02 | კულტურის ღონისძიებები | 180,0 |
| 05 03 | **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **120,0** |
| 05 03 | **ტელე რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | **65,0** |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტის სფეროს განვითარება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 | | **640,0** |
| ქვეპროგრამის | | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი | ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ააიპ გურჯაანის სპორტული გაერთიანება აერთიანებს სპორტის 15 სახეობას, ესენია: ჭადრაკი- 70 მოსწავლე, კარატე- 61, ფრენბურთი-35, ფეხბურთი-163, ბადმიგთონი -16, კრივი-63, კალათბურთი-25 ,ძლავჭიდი- 17 კიკბოქსინგი-15 ძიუდო-85, თ5. ჭიდაობა- 40, ძალოსნობა-13, .ჭიდაობა-20, ცურვა-30, რაგბი-25 სულ-678 მოსწავლე. რომელთაც საწვრთნელო მუშაობა უტარდებატ კვირაში 2-3 ჯერ. სპორტულ გაერთიანებაში მუშაობს 78 თანამშრომელი აქედან 35 მწვრთნელ -მასწავლებელია , ხოლო 43 - ადმინისტრაცია-ტექ.პერსონალი. სპორტული გაერთიანების მოსწავლეები აწყობენ სპორტულ შეკრებებს და მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში , როგორს ქვეყნის მასშტაბით ისე საზღვარგერეთ. ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას . მეტი ახალგაზრდისა, როგორც ბიჭების ასევე გოგონების ჩაბმას სპორტში, მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით |
| მოსალოდნელი შედეგი | ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემუშავებული ქვეპროგრამების განხორციელებით, სპორტით უნდა დაინტერესდეს როგორც 18 წელს ზემოთ ადამიანები, ასევე უნდა გაიზარდოს მდედრობითი სქესის წარმომადგენლეთა რაოდენობა, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობით იქნება დაკავებული. ამასთან, შესაბამისი ყურადღება დაეთმობა შშმ პირების სპორტული შესაძლებლობების განვითარებასა და ხელშეწყობას. |
| | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია, ხელი შევუწყოთ მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტული ცხოვრების<br><br>დონის ამაღლებასა და სპორტში ჩართულობის გაზრდას, მათ შორის ინტეგრირებული და ექსტრემალური სპორტის მხარდაჭერასა და განვითარებას.<br><br>2019 წლის საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, სპორტით ძირითადად 6-18 წლამდე მამრობითი სქესის წარმომადგენლები არიან დაკავებულები, თუმცა სპორტის 4 სახეობაში (ფრენბურთი, ჭადრაკი, ცურვა, ბადმინტონი) მდედრობითი სქესის პროცენტული წილი თითქმის 50%-ს შეადგენს, ხოლო შშმ პირებისთვის არახელსაყრელი ინფრასტრუქტურის გამო, დაინტერესების მიუხედავად ისინი ვერ ახერხებენ სპორტით აქტიურად დაკავდნენ. აღნიშნული მდგომარეობა ჩვენი აზრით შეიძლება ერთის მხრივ გამოწვეული იყოს, როგორც იმ სპორტის სახეობების სიმრავლით, რომლითაც ძირითადად მამრობითი სქესის წარმომადგენლები ინტერესდებიან და მეორეს მხრივ, მდედრობითი სქესის მწვრთნელების არ არსებობით. ამასთან, ასაკობრივ ნიშნულსაც თუ გავითვალიწინებთ, აღმოვაჩენთ, რომ ძირითადად მოზარდი თაობაა მუნიციპალიტეტში სპორტით დაკავებული, ჩვენი პროგრამა კი მოიცავს სპორტული ცხოვრების დონის ამაღლებას ნებისმიერი ასაკის და ნებისმიერი სქესის წარმოამდგენელისთვის. არსებული მდგომარეობის შეცვლის მიზნით, ვფიქრობთ, ვაწარმოოთ როგორც სათანადო კამპანია, ასევე ფინანსური და ადამიანური რესურსი მივმართოთ სიახლეების დანერგვისა და არსებული მდგომარეობის გამოსწორებისკენ.<br><br>ამიტომ, პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br><br>1. სპორტში ქალთა ჩართულობის შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანია და ქალთა სპორტული ტურნირების მოწყობა.<br><br>2. ინტეგრირებული სპორტის განვითარების ხელშეწყობა.<br><br>3. ექსტრემალური სპორტის განვითარების ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემუშავებული ქვეპროგრამების განხორციელებით, სპორტით უნდა დაინტერესდეს როგორც 18 წელს ზემოთ ადამიანები, ასევე უნდა გაიზარდოს მდედრობითი სქესის წარმომადგენლეთა რაოდენობა, რომელიც სპორტის სხვადასხვა სახეობით იქნება დაკავებული. ამასთან, შესაბამისი ყურადღება დაეთმობა შშმ პირების სპორტული შესაძლებლობების განვითარებასა და ხელშეწყობას. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 03 | | 455,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 7 კულტურის სახლი.<br><br>კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები. ამ წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 405 აღსაზრდელი, ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებში ჩართულია 100-მდე მონაწილე. არსებობს როგორც ვაჟთა ისე ქალთა ანსამბლები,<br><br>მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ველისციხის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი. 2019 წელს თეატრში გაიმართა 1 დრამატული სპექტაკლის პრემიერა, აღდგა და განახლდა წინა წლებში დადგმული 3 სპექტაკლი. თოჯინების თეატრში დაიდგა 2 ახალი წამოდგენა, თოჯინების თეატრი ასევე ახორციელებს გასვლით წარმოდგენებს.<br><br>მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებებიფუნქციონირებენ შეუფერხებლად. კულტურის სახლების მიერ სრულად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. თეატრებში იდგმება სპექტაკლები. ა(ა)იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა) | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი " გურჯაანი" | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 1 08 | | **48,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ააიპ ქართული ეროვნული ცეკვის ანსამბლი " გურჯაანი" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ანსამბლში მოცეკვავეთა რაოდენობა შეადგენს 55 ახალგაზრდას. აქედან 35 სტაჟიორ მოცეკვავეა რომლებიც ემზადებიან და პროფესიონალდებიან ანსამბლის ზირითად შემადგენლობაში გადასასვლელად ყოველგვარი გადასახადის გარეშე . უტარდებათ თეორიული, პრაქტიკული და შემეცნებითი სემინარები ქართული ხალხური ძირზველი ქორეგრაფიული ხელოვნების მოზიება განვითეარებისათვის. ეწყობა შეხვედრები კახეთის ყველა კუთხეში უხუცეს ადამიანებთან, ვისაც შეხება ჰქონიათ ძველ ქართულ ცეკვასთან, ძველი ელემტების ამოღება განვითარებასთან დაკავშირებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ახალგაზრდობის კულტურულ-ესთეტიკური აღზრდილობას, მათ ფიზიკურ, სულიერ და გონებრივ ჰარმონიულად განვითარებას, აგრეთვე მათ შემზადებას და გათვიცნობიერებას ევრო ინტეგრაციის მიმართულებით ეროვნული სულისკვეთებით | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ანსამბლი მრავაჟამიერი-1 | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 10 | | 100,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ მრავალჟამიერი-1 | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ააიპ მრავალჟამიერი1-ის დაქვემდებარებაში შედის 2 ანსამბლი "გურჯაანი " 12 წევრით და ლევან მუღალაშვილის სახელობის ბავშვთა ანსამბლი, რომელშიც ირიცხება 41 წევრი აგრეთვე ფუნქციონირებს მოსამზადებელი ჯგუფი 30 ბავშვით . გარდა ამისა არსებობს ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის რაიონული სკოლა, სადაც ხდება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების გამოვლენა და მომზადება გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასწავლებლისთვის, სადაც ჩარიცხვის შემთხვევაში მოხდება მათი უფასოდ სწავლება.სკოლაში ირიცხება 7 შერჩეული მოსწავლე. მათ ასწავლიან: გალობის, ქართული ხალხური სიმღერის, ხალხური საკრავების, ფოლკლორის ისტორიის, სოლფეჯიოს, ქართული ენისა და ხალხური საკრავების კვალიფიციური პედაგოგები. ააიპ მრავალჟამიერ1-თან არსებობს მგალობელთა გუნდი სამი წევრით. ააიპ მრავალჟამიერი1--ის მიზანია მოზარდი თაობის დაინტერესება ხალხური სიმღერისა და გალობის შესწავლით, ანსამბლების ჩამოყალიბება, სწორად და ხარისხიანად სწავლება რათა მათ შეძლონ ქვეყნის შიგნით და გარეთ ჩატარებულ ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში წარმატების მიღწევა და ტრადიციული ხალხური სიმღერისა და გალობის მომავალი თაობებისთვის გადაცემა და პოპულარიზაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება თუ მრავალჟამიერი1 ფუნქციონირებას განაგრძობს როგორც ააიპ ფოლკლორის ცენტრი "გურჯაანი" , რომლის დაქვემდებარებაშიც შევა წრეები რომელთა გახსნაც იგეგმება სამ სოფელში: ველისციხეში, ბაკურციხეში და კაჭრეთში. ამისი აუცილებლობა გამომდინარეობს სწავლის მსურველი ბავშვების სიმრავლიდან რომელთათვისაც გურჯაანში სიარული მოუხერხებელია და სწავლა არ არის ხელმისაწვდომი ეს მოითხოვს დამატებით ხარჯებს რაც გათვალისწინებული იქნება ოთახების მოძიება რეაბილიტაციის, ,კომუნალური გადასახადების და მასწავლებელთა ხელფასისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამინდელი ბიუჯეტი შედგება მხოლოდ ხელფასების და ისიც ძირითადა დ მიზერულია,. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდის ფონზე, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;<br>კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;<br>პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება კულტურის სფეროში, კერძოდ ხალხური სიმღერის და ტრადიციული გალობის ნაწილში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა, შედეგად გაიზრდება შემოქმედებით სფეროში მოღვაწე ადამიანების მოტივაცია. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 04 | | 318,00 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - " გურჯაანის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება" | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 მუნიციპალური მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა<br><br>მუნიციპალურ მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 26967 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს *4234*-ს.<br><br>მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 141875 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 6000 მოსახლე.<br><br>საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა–დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა;<br>საცნობარო–ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა;<br>საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა | | |

| | |
|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ–გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ–გაზეთების სტატიების ელექტრონული კატალოგები) შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;<br>www.libmuseum.ge<br>მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერენეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;<br>კულტურულ–საგანმანათლებლო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების საკლუბო შეხვედრების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება–ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა;<br>საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბასად. მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება.სამუზეუმო ექსპონატების აღწერა, საინვეტარო წიგნში გატარება, დაცვა, მოვლა-პატრონობა.ასევე მუზეუმების ფონდების აღრიცხვა-დამუშავება.<br>კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების ორგანიზება<br>.<br>ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობილი მწერლების დაბადების დღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, გურჯაანში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ,,ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო–საახალწლო შეხვედრები, მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, საკლუბო შეხვედრები. |
| მოსალოდნელი შედეგი | ბიბლიოთეკები და მუზეუმები საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს. ა(ა) იპ-ის ადმინისტრაციული პერსონალი შეძლებისდაგვრად უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით (ხელფასი და სხვა). ბიბლიოთეკა-მუზეუმების შეუფერხებელი მუშაობა. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა. საბიბლიოთეკო ფონდის ზრდა. ა(ა)იპ-ის მთავარი მიზანია რომ დავაინტერსოთ მკითხველი და ავამაღლოთ ცნობიერების დონე. მეტი ტურისტი გვყავდეს მუზეუმებში, რაც გაზრდის საკუთარ შემოსავალს. 2020 წელს იგეგმება "ლიტერატურული კაფის " გახსა, ეს იქნება ინოვაციური სიახლე გურჯაანის მუნიციპალიტეტში, რაც გამოიწვევს ბევრი ახალგაზრდის მოზისდვას, როგორც მკითხველის ამპლუაში ასევე სხვადასხვა აქტივობების ჩართულობის თვალსაზრისით. |
| | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 15 | | **315,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გურჯაანის საგანმანათლებლო და სახელოვნებო სკოლების გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი დაწყებითი სამუსიკო განათლების 5 და დაწყებითი სამხატვრო განთლების 1 სკოლა.<br><br>სამუსიკო სკოლებში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, ვიოლინოს, ხალხური საკრავების, და სხვა მიმართულებები. სამუსიკო სკოლებში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს გურჯაანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 365 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგეგები) 70 თანამშრომელს. ადმინისტრაციული პერსონალის დაფინანსება 48,3 ათასი ლარი. პედაგოგების საათობრივი ანაზღაურებაა: (ერთი საათი) საშუალო სპეციალური განათლების 15,00 ლარი, უმაღლესი განათლების 17,00 ლარი და უმარლესი არასპეციალური16,00 ლარი.<br><br>სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ფერწერას, ხატვას, კომპოზიციას, ქანდაკებას, გობელენს, და ხატწერას. სამხატვრო სკოლაში დაწყებით სამხატვრო განათლებას იღებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 150 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებული 12 თანამშრომელი, მათ შორის, 7 პედაგოგი. სკოლის დაფინანსება 38,4 ათასი ლარი.<br><br>მოსწავლე ახალგაზრდობის შმოქმედებით სკოლაში ბავშვები ეუფლებიან სხვადასხვა საგანმანათლებლო საგნებს, შემეცნებით და პროფესიულ საქმიანობას. მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებით სკოლაში განათლებას იღებს მუნიციპალიტეში მცხოვრები165 ბავშვი. სკოლაში სულ დასაქმებულია 15 თანამშრომელი. მ. შ. 11 წრის ხელმძღვანელი. სკოლის დაფინანსებაა 46,00 ათასი ლარი. პროგრამა მოიცავს ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების დაფინანსებას. საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების და მოსწავლე ახალგაზრდობის შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტით უზრუნველყოფას<br><br>პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ა(ა)იპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის გურჯაანის | | |

| | | |
|---|---|---|
| | საგანმანათლებლო და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მიმდინარე ხარჯები ( ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი) 46,8 ათასი ლარი.<br><br>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ფასიანი, საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლები და სამხატვრო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებენ შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამხატვრო და სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **კულტურის ღონისძიებები** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 02 | | **180,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | გამომდინარე იქიდან, რომ მერია ა(ა)იპ-ების მეშვეობით უზრუნველყოფს ქართული კულტურული მემკვიდრეობის სათანადოდ შენარჩუნებასა და ხელს უწყობს ქართული ეროვნული ცეკვისა თუ სიმღერის თაობებზე გადაცემას, მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას, შესაბამისად, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას სხვადასხვა ტიპის კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, ისეთების, როგორიცაა ფესტივალები, ფორუმები და ა.შ.<br><br>ამასთან, სამსახური ცდილობს გამოიყენოს და დანერგოს ის ინოვაციური მიდგომები, რომელიც გაზრდის შემოქმედებით საქმიანობას ადგილობრივად. ამასთან, ასევე ცდილობს, მოახდინოს კულტურული მიმართულებების ინტეგრაცია ისეთ მონათესავე მიმართულებებთან, როგორიცაა მაგ: ტურიზმი და ა.შ.<br><br>შესაბამისად, პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:<br><br>1. მუნიციპალიტეტის შესახებ, ცნობადობის ამაღლების კამპანიის წარმოება.<br>2. ფესტივალების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის მიზნით.<br>3. კონფერენციებისა და ფორუმების გამართვა.<br>4. კულტურული ღონისძიებების განხორციელება.<br><br>ქვეპროგრამების განხორციელება უზრუნველყობს გენდერული ბალანსის დაცვას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | თუ დავეყრდნობით და გამოვიყენებთ 2019 წლის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების უკუკავშირებს, შესაძლებელია ითქვას, რომ მასშტაბური გამოხმაურება ძირითადად მასშტაბურ ღონისძიებებს აქვს, მაგ: ღვინის ფესტივალი და შემოქმედებით საღამოები.<br>ამიტომ, ვფიქრობთ 2020 წელი დავყოთ სეზონურ ღონისძიებებად და ჩავატაროთ 5 მასშტაბური ფესტივალი, ესენია: მუსიკის, კულინარიის, ხილის, ღვინის, მეცნიერების და მეექვსე პროექტი " საახალწლო ქალაქი", რომელსაც წლის განმავლობაში დაემატება სხვადასხვა ტიპის ფოლკლორული თუ შემოქმედებითი საღამოების გამართვა, ა(ა)იპ-ების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში.<br><br>გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ მივაღწევთ ჩვენს მიერ დასახულ მიზანს, რომ გურჯაანის ნიშა გახდეს როგორც მევენახეობის, ასევე საფესტივალო ქალაქი და შესაბამისად, მოხდეს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია სწორედ კულტურული ღონისძიებების გამართვის შედეგად, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურისტული ნაკადების გაძლიერებასა და ეკონომიკურ სიძლიერეს. | | |

| | |
|---|---|
| | ჯამში, ვფიქრობთ, რომ ფესტივალებს ესტუმრება 50000-ზე მეტი ადამიანი, ხოლო სხვა ტიპის ღონისძიებებს ჯამში 10 000-15 000 ადამიანი, მათ შორის 50-50% მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარებში | |
|---|---|---|---|---|
| | 05 03 | | 120,0 | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური. | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | გამომდინარე იქიდან, რომ სამთავრობო პროგრამა 2016-2020_ის ფარგლებში ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით, განისაზღვრა შემდეგნაირად: ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა, ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაზრდა, ევროკავშირთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და გაუმჯობესება, ამასთან სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება არაფორმალური განათლების როლის გაზრდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ჩამოთვლილი ქვეპროგრამების მიმართულებების ფარგლებში დაიგეგმოს და განხორციელდეს ისეთი პროექტები, რაც ერთის მხრივ გამოაცოცხლებს მუნიციპალიტეტს და გახდის მასშტაბური პროექტების მონაწილეს, ასევე მეორეს მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ ახალგაზრდობას, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდობისთვის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში და შეცვალონ შექმნილი გარემო უკეთესობისკენ.<br><br>2019 წლის საბაზისო მონაცემების გათვალისწინებით, გენდერული დისბალანსი არ შეინიშნება, თუმცა, მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდობის უდიდეს წილს წარმოადგენენ მხოლოდ სკოლის ასაკის მოზარდები (18 წლამდე), ამიტომ ვფიქრობთ ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც მონაწილეობას მიიღებენ 18 წელს ზემოთ ახალგაზრდებიც. შესაბამისად, ქვეპროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:<br><br>1. ინტელექტუალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა ("რა? სად? როდის?", მხიარულთა და საზრიანთა ჩემპიონატი, ახალგაზრდული ფორუმი, საგანმანათლებლო ზანაკი, სადებატო კლუბების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებების განსაზღვრა და მისი განვითარება და ა.შ.)<br>2. შემოქმედებითი და სხვა ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (სხვადასხვა ტიპის დაჯილდოების ცერემონიალების გამართვა, წარმატებული ახალგაზრდების წახალისება და სხვა). | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, ვფიქრობთ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება 18 წელს ზემოთ ახალგაზრდების გააქტიურება მუნიციპალიტეტში. | | | |
| | | | | |

## მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1644,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა | 2020წლის პროექტი |
|---|---|---|
| 06 00 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **1644,0** |
| 06 01 | **ჯანმთელობის დაცვა** | **150,0** |
| 06 02 | **სოციალური დაცვა** | **1494,0** |
| 06 02 01 | მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა | 190,0 |
| 06 02 02 | ახალშობილთა დახმარება | 150,0 |
| 06 02 03 | 0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა საკვებით უზრუნველყოფა | 10.0 |
| 06 02 04 | სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა საზაფხულო ბანაკი ,,აირჩიე პროფესია" | 30,0 |
| 06 02 05 | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამა | 15,0 |
| | დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური | |

| | | |
|---|---|---|
| 06 02 06 | სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება | 15,0 |
| 06 02 07 | სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა | 340,0 |
| 06 02 08 | მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამა | 180,0 |
| 06 02 09 | უფასო კვებით მომსახურეობა "მოქალაქეთა თანადგომა" | 330,0 |
| 06 02 10 | ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა | 10,0 |
| 06 02 11 | უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა | 2,0 |
| 06 02 12 | მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა | 30,0 |
| 06 02 13 | უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმსრების პროგრამა | 30 |
| 06 02 14 | 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარების პროგრამა | 2.0 |
| 06 02 15 | ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა | 70,0 |
| 06 02 16 | ელექტროენერგიის საფასურის თანაგადახდის პროგრამა | 30,0 |
| 06 02 17 | დაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სატრანსპორტო ხარჯის თანადაფინანსება | 40,0 |
| 06 02 18 | შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა | 10,0 |
| 06 02 19 | უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტის და პროფესიული სასწავლებლის სწავლის საფას. თანადაფინანსება | 10,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | **150,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.ა.ი.პ გურჯაანის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დავის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.<br>პროგრამა შედგება შემდეგი ქვეპროგრამებისაგან:<br>1 ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მალარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი)<br>2 იმუნიზაციია.<br>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა<br>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 2 იმუნიზაციია.<br>3 ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა<br>4 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. | | | |
| პროგრამის მიზანი | მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება | | | |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში | |
| | 06 02 01 | | **250.0** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მძიმე სოციალური ფონის გამო მრავალშვილიანი ოჯახების ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და წახალისება. ფაქტიურად მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე, რომელთაც ჰყავთ 4 (ოთხი) და მეტი შვილი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 0–დან 200 000–მდე, დახმარება გაიცემა მე-4 და ყოველ შემდეგ ბავშვზე თვეში 100 (ასი) ლარის ოდენობით სავალდებულოა დახმარების მიმღები მრავალშვილიანი ოჯახის ორივე მშობელი რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები იყოს გურჯაანის მუნიციპალიტეტში დახმარების დანიშვნამდე არანაკლებ ერთი წლისა. მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარება გაიცემა  განცხადებით მიმართვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 18 წლის შესრულების შემთხვევაში არასრულწლოვან ბავშვზე დახმარება ოჯახს შეუწყდება მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ფულადი დახმარების გაცემა | | | |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში | |
| | 06 02 02 | | **180,0** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ახალშობილთა ოჯახების დახმარება გაიცემა 1 წლამდე ასაკის პირველ და მეორეახალშობილზე, თუ ბავშვი და ოჯახის ერთერთი წევრი რეგისტრირებულია და ფაქტიურად მცხოვრები მუნიციპალიტეტში. გასაცემი თანხის ოდენობა შეადგენს: ა) 0-დან 65 0000-მდე სარეიტინგო ქულა  - 300 ლარი,  ბ) 65000-დან 100 000-მდე - 250 ლარი, გ) 100 000-დან 200 000-მდე -200 ლარი დ) სარეიტინგო ქულის არმქონე ოჯახზე 150 ლარი. | | | |
| მოსალოდნელი  შედეგი | ფულადი დახმარების გაცემა | | | |
| | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **0-18 წლამდე ასაკის ბავშვთა საკვებით უზრუნველყოფა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 03 | | **10,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი საკვების მიწოდება.<br>სამიზნე ჯგუფია: ა) ერთი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი, რომლის ოჯახი პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მომართვის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა. ბ) ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დააავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სამიზნე ჯგუფისთვის საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | | |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა საზაფხულო ბანაკი „აირჩიე პროფესია“** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 04 | | **27,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად მცხოვრები ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელი საკვების<br>მიწოდება.<br><br>სამიზნე ჯგუფია: ა) ერთი წლის ჩათვლით ასაკის ბავშვი, რომლის ოჯახი პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მომართვის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა. ბ) ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დააავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვი. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სამიზნე ჯგუფისთვის საკვებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | | |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 06 02 05 | | **20,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების<br>დაკმაყოფილება, ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება და ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობა. სამიზნე ჯგუფი: დ) ოჯახი, რომელშიც ცხოვრობს სამი ან მეტი ბავშვი;<br>ე) ბავშვიანი ოჯახი, რომელიც განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი<br>ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და შეფასების შედეგად მინიჭებული აქვს 30 001-ზე ნაკლები<br>სარეიტინგო ქულა; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **დაუნის სინდრომის 0-7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | **20,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მიზანი: ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სოციალიზაციის ხელშეწყობადაუნის სინდრომის, 0 - 7 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის აშლილობის და ადრეული განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა სამედიცინო რეაბილიტაციის თანადაფინანსება განხორციელდება წლიური ლიმითი 1000 ლარის ოდენობით | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სოციალიზაცია | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 07 | | **450,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | მიზანი: მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე (სტაციონარილი და ამბულატორიული მკურნალობია, გამიკვლევები) ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით თვითმმართველობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება.<br>1. მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების (გარდა ონკოლოგიური დაავადებების) თანადაფინანსების სამიზნე ჯგუფები და დაფინანსების წესი:<br><br>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომელთა ფაქტობრივი საცხოვრებელია გურჯაანის მუნიციპალიტეტი მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს, ბენეფიციარებზე გასაცემი თანხა შეადგენს სამედიცინო მომსახურების ღირებულების 50%-ს, არაუმეტეს 500 ლარის;<br><br>ბ) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ვეტერანი; ბენეფიციარებზე გასაცემი თანხა შეადგენს სამედიცინო მომსახურების ღირებულების 50%-ს, არაუმეტეს 500 ლარის;<br><br>გ) ბენეფიციარები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ა, და ბ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს, მათზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის გაიცემა 500 ლარამდე სამედიცინო მომსახურების ღირებულების 50% არაუმეტეს 100 ლარის, 501 ლარიდან 1000 ლარამდე – 200 ლარი, 1001 ლარიდან 1500 ლარამდემეტი – 250 ლარი.''. 1501-ლარზე მეტი 350 ლარი.<br><br>2.ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება წლიური ლიმიტი განსაზღვრულია 1000 ლარით; | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **მედიკამენტების შეძენაზე დახმარების ქვეპროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 08 | | **200,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მედიკამენტების შეძენაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.<br><br>1. მოქალაქეთა მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსების წესი:<br><br>ა) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 100 001-ზე ნაკლები ქულის მქონე პირის და მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილის მედიკამენტების თანადაფინანსება განხორციელდება მედიკამენტების ღირებულების 50%-ით არაუმეტეს 100 ლარისა წელიწადში ერთხელ.<br><br>ბ) პირს, რომელიც არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მედიკამენტები დაუფინანსდება მედიკამენტების ღირებულების 50%-ით არაუმეტეს 50 ლარისა წელიწადში ერთხელ.''.<br><br>2)მიასთენიით დაავადებულთა სამკურნალო მედიკამენტების, 18 წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვთა ანტიკონვულსანტების თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტის 480 ლარის ფარგლებში, ერთჯერადად გაიცემა არაუმეტეს 120 ლარი<br>;<br><br>3) A-ტიპის დიაბეტით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ჩხირების თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტი 480 ლარის ფარგლებში, ერთჯერადად გაიცემა არაუმეტეს 120<br>ლარი.<br>3.ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების თანადაფინანსება მოხდება წლიური ლიმიტი 300 ლარის<br>ფარგლებში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შეძენაზე ფინანსური დახმარების გზით | | |
| | | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | **უფასო კვებითი მომსახურეობა „ მოქალაქეთა თანადგომა“** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში | |
|---|---|---|---|---|
| | 06 02 09 | | **300,0** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველთა ერთინა ბაზაში 120 000- მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წერებისთვის და ხანდაზმულთა საკვებზე ხელმისაწვდომობი გაზრდა.<br>ბენეფიციართა უფასო კვება მოხდება უფასო სასადილოში კვირაში ექვსი დღე დღეში ერთხელ. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ა( ა) იპ ,,მოქალაქეთა თანადგომა. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება | | | |
| | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 10 | **ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>**12,0** | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება<br><br>1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) ბრძოლებში გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით;<br><br>2.მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის (სამაჩაბლო-აფხაზეთი) ბრძოლების მონაწილე გარდაცვლილთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსების მიზნით, ყოველი გარდაცვლილის ოჯახზე გაიცემა ფინანსური დახმარება ერთჯერადად 250 ლარის ოდენობით. დახმარებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა, გარდაცვალების ცნობა, დასაფლავების ხარჯის გამღები პირის განცხადება და პირადობის მოწმობა, ამონაწერი საბანკო ანგარიშის შესახებ. | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ვეტერანის პატივგება | | | |
| | | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 11 | **უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამაპროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>**2,5** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | გურჯაანის მუნიციპალიტეტში უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა -250 ლარის ოდენობით, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მომართვის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება | | |
| | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი<br>06 02 12 | **მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა** | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში<br>**35,0** |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური | | |
| | მიზანი: უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა<br><br>სამიზნე ჯგუფები:<br><br>გურჯაანის მუნიციპალიტეტში არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში ფაქტობრივად მცხოვრებ უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა – | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საცხოვრებელი ფართის ქირა 100 ლარის ოდენობით გაიცემა:<br><br>ა) თუ ოჯახს არ გააჩნია მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი და ოჯახი შედგება მხოლოდ ერთი მშობლისა და 18 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვისაგან;<br><br>ბ) თუ ოჯახს არ გააჩნია მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი და ოჯახი შედგება ორივე მშობლისა და 18 წლამდე ასაკის ერთი ან მეტი არასრულწლოვანი ბავშვისაგან და ერთ-ერთი მშობელი არის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (პირი, რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად);<br><br>გ) თუ ოჯახს აქვს საცხოვრებლად უვარგისი ბინა, რომელში ცხოვრებაც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რაც უნდა დადგინდეს გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამუშაო ჯგუფის (კომისიის) მიერ;<br><br>დ) თუ მრავალშვილიანია;<br><br>ე) თუ ძალადობის მსხვერპლია;<br><br>ვ) თუ სახელმწიფო ზრუნვიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში გასული 18-21 წლის ასაკის ახალგაზრდა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა | | |
| | | | |

